№ 108 მაისი 24 პარასკევი 1891 მაისი 24 პარასკევი № 108

გაზეთი ღირს

| თუმე | მან. კ. | თუმე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელს წიგნთ-საცავსა და ქართველთა წიგნთ გამომცემელთ მაღაზიაში

**მეფე დავით აღმაშენებელი**

ისტორიული დრამა, ოთხს მოქ.

თხზულება

თ. ალ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა

გამოცემა

ზ. ჭიჭინაძისა

ფასი ორი აბაზი.

პარასკევს, 24 მაისს,

**„ბროზა"**

კატერინას როლს ასრულებს მ. ნ. ერმოლოვისა.

ბარბარესას—ა. ნ. ერმოლოვა—კრეჩეტოვისა.

შაბათს 25, მაისს ტფილისში პირველად წარმოდგენილი იქნება

**რანნიაია ოსენ**

დრამა 4 მოქმედებად. თხზ. კარნოვისა. მონაწილეობას მიიღებენ მ. ნ. ერმოლოვისა და ა. ნ. ერმოლოვა-კრეჩეტოვისა.

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ცვარი**

საყმაწვილო სურათებიანი ლექსთა კრებული შ. მღვიმელისა, გამოც. ელ. ტატიშვილის მიერ. სურათები და მორთულობა ამოსჭრა გრ. ტატიშვილმა.

ფასი 30 კაპ.

## ახალი ამბავი

*** ამ ჟამად ტფილისის გუბერნიის ზოგიერთი სოფლებიდგან საერო სკოლათა დირექტორის განკარგულებით მოწვეულნი არიან ტფილისში სოფლის ოსტატნი, რომელნიც, როგორც გვითხრეს, პირველ ივლისამდე დარჩებიან ჩვენს ქალაქში. აზრი ოსტატების მოწვევისა ისაა, რომ აბრეშუმის ჭიისა და ფუტკრის მოვლის შესახებ საჭირო ცოდნა მისცენ, რისგამოც ისინი ყოველ დღე მეცადინეობენ შაეროვის საბრეშუმო სადგურსა და საბაღოსნო სკოლაში. დილის 7 საათიდამ $8\frac{1}{2}$-მდე აბრეშუმის ჭიას უვლიან. 9 საათიდამ 10-მდე გამადიდებელი შუშით სინჯავენ აბრეშუმის ჭიას. 11—12-მდე ფუტკრის მოვლაში ვარჯიშობენ. 12—1 საათამდე ლექციებს ისმენენ აბრეშუმის ჭიის შესახებ. 4—6-მდე აგრეთვე ლექციებს ისმენენ მეფუტკრეობაზე. 6—7. საგიმნასტიკო ვარჯიშობას უნდებიან, ხოლო 7—8-მდე საეკკლესიო გალობაში იწვრთნებიან.

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა გუშინდელმა კრებამ რამდენიმე საგანი განიხილა კიდევ. ამისს ანგარიშს ხვალ მოვახსენებთ მკითხველებს. დღეს მხოლოდ დავასახელებთ იმათ, რომელნიც ამორჩეულ იქმნენ მაზრების წინამძღოლებად, მათს კანდიდატებს და დეპუტატებს:

თელავის მაზრამ აირჩია წინამძღოლად თავ. ილია გიორგის ძე ჭავჭავაძე, კანდიდატებად: თავ. ზ. ს—ძე ვახვახიშვილი და ს. ც—ძე ჭავჭავაძე; დეპუტატად თავ. ზ. ტ-ძე ჯაფარიძე.

სიღნაღის მაზრამ: წარსულის წლების განმავლობაში წინამძღოლად ნამყოფი თ. ი. რ—ძე ანდრონიკაშვილი. კანდიდატებად: თავ. ნ. ა-ძე ვაჩნაძე და თავ. ს. დ-ძე ანდრონიკაშვილი, დეპუტატად ტაინი სოვეტნიკი იასე ა-ძე ანდრონიკაშვილი.

გორის მაზრამ წინამძღოლად აირჩია წინანდელი ი. დ—ძე სულხანიშვილი, კანდიდატებად, თ. მ. ე—ძე შარვაშიძე და თ. კ. ა—ძე ერისთავი, დეპუტატად თ. გ. რ—ძე ბეგთაბეგოვი.

დუშეთის მაზრაში: წინამძღოლად მისს იმპერატორებითის უდიდებულესობის ეგერმეისტერი თ. კ. ი—ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, კანდიდატებად: თ. ნ. დ—ძე ერისთავი და თავ. ლ. გ—ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, დეპუტატად ა. ი—ძე სავანელი.

ტფილისისა და ბორჩალოს მაზრების არჩევნები კანონიერად არ იქმნა ჩათვლილი და ამიტომ ხელ-მეორედ იქნება ამ მაზრებში არჩევანი, რომელიც მოხდება დღეს, პარასკევს, დილის 10 საათზე.

დღესვე აირჩევენ გუბერნიის წინამძღოლსაც.

*** საფინანსო სამინისტროს მოულაპარაკნია სხვა სამინისტროსთან და გადაუწყვეტია, რომ ვინც-კი კონტრაბანდას ეტანება, ან შენიშნულია კონტრაბანდით საქონლის გატან-გამოტანაში საზღვრებზედ, ყველა ისინი გადასახლებულ უნდა იქმნენ სამზღვარზედ მოშორებით ორმოცდაათს ვერსზედ მაინც და სამუდამოდ უნდა აეკრძალოს მათ საზღვარზედ ცხოვრებაო.

*** ჩვენს პროვინციებში თანდათან ფეხს იდგამს და ფრთას ისხავს წიგნების გამოცემის საქმე. აქამდე ამ საქმეს ის გარემოება აბრკოლებდა, რომ სტამბები არ იყო, და ეხლა-კი თანდათან ეს დაბრკოლებაც სცილდება. როგორც შევიტყეთ, ტფილისის მესტამბეს ეკ. ხელაძისას, რომელმაც შარშან თელავში სტამბა გაჰმართა, განუზრახავს ასეთისავე სტამბის გამართვა სიღნაღშიაც ამ მაისის დამლევიდგან და გუბერნატორისაგან ნება-რთვა სიღნაღში სტამბის დაარსებისა უკვე მიუღია კიდეც.

*** ახალციხის მაზრის მომრიგებელ შუაკაცად დაინიშნა კასტანგ თუღაშვილი თ. გ. თარხნიშვილის მაგიერ, რომელიც თიანეთის მაზრის უფროსად იქმნა დანიშნული.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-334 ვერსზე ამ თთვის 20, ღამეს, ვიღაც ავაზაკთა ტყვის ქამრით დაურჩვიათ რკინის გზის დარაჯი მოლა სულეიმან აბილლა-ოღლი, რომლის გვამიც 70 ნაბიჯზე გადაუგდიათ რკინის გზის ლიანგიდგან და შემდეგ გაუძარცვიათ იმისი სადგომი იმ დროს მოკლულის ოჯახობას სძინებია და ვერაფერი გაუგიათ.

*** საიუნკრო სკოლის პირდაპირ მუშტაიდიდამ გამოყვანილი წყლის არხი თაღით არის გადახურული. ერთს ადგილას, ორის მამულის მიჯნაზე, ახევარ არშინი დაუხურავად არის დატოვებული, რადგან ორსავე მომიჯნეს ერთი ერთმანეთზე შეუგდიათ, შენი ვალია, შენ უნდა დახუროვო. მათთვის-კი სულ ერთია დაუხურავი იქნება, თუ დახურული, მაგრამ გამვლელ-გამომვლელთათვის-კი ძლიერ სახიფათოა: ღამე შეიძლება კაცმა ვერ დაინახოს დაუხურავი ალაგი და ჩაიჩუხოს. კვირა საღამოს უკვე იყო ამ ნაირი შემთხვევა: ზეგნელი გლეხი იაგორ ჭყულაძე ჩავარდა შიგა და საწყალი ძლიერ დაშავდა: ჩაემტვრა გული ყბა და ენაც სამს ალაგას გაუჭკდა. საბრალოს ნაცნობები გამოუჩნდნენ და ცოლთან მიიყვანეს, რომელიც დიდუბეში სცხოვრობს.

*** სოფ. ცხინვალში: ამ დღეებში ინჟინერს კლიმენტიევს უეცრად მოუკლავს ტოპოგრაფი რიხტერი. სადილის დროს თურმე ბ-ნ კლიმენტიევი რევოლვერს აჩვენებდა რიხტერს; ამ დროს უცბად რევოლვერი გავარდნილა და ტყვია საბრალოს საფეთქელში მოხვედრია და იქვე მომკვდარა.

*** ქალაქის თავად ამორჩეული თავ. არღუთინსკი-დოლგორუკი ამ დღეებში ჩაიბარებს თავისთანამდებობას, რადგან მთავრობისაგან დამტკიცებულ იქმნა. ალბად, მომავალ ორშაბათის კრებაზედ საბჭოს თავმჯდომარედაც ბ-ნი არღუთინსკი დოლგორუკი იქნება.

*** 22 მაისს ბაღის ქუჩაზე ტერმელიქსეტოვის ეზოდგან მოიპარა ხალიჩა სპარსეთის ქვეშევრდომმა აბასაბდულ ოღლიმ. დამნაშავე იქვე შეიპყრეს.

*** 20 მაისს პუშკინის ქუჩ. მცხოვრებელმა ქვრივმა მარიამ კუკუჯანოვისამ გამოაცხადა, რომ როცა სახლში არ ვიყავი სადგურიდგან ჩემმა შვილის შვილმა ალექსანდრე ყორღანოვმა სადგური გამიტეხა და კამოდიდგან ოთხი მომგებიანი ბილეთი მომპარაო. დამნაშავე შეიპყრეს და ქურდობაშიაც გამოტყდა. ბილეთები მიუყიდნა 400 მან. სასახლის ქუჩაზე ვაჭარის გრიგოლ ფრიდმანისათვის.

---

შეცდომის გასწორება: ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის განცხადებაში, რომელიც „ივერიის"-105 ნომერშია დაბეჭდილი, კორექტურული შეცდომა შეგვეპარა: დაბეჭდილია: საჯაროდ გაიყიდება მამულები 22 და 24 ივნისს 1881 წელსაო, უნდა იყოს —22 და 24 ივნისს 1891 წ.

კიდევ დაბეჭდილია: თუ 22 ივნისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ხელ მეორედ დაინიშნება უკანასკნელი ვაჭრობა ივლისში 1896 წელსაო; უნდა იყოს—ივლისში 1891 წ.

## მორიგი კრება

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა

როგორც უკვე გამოცხადებული იყო, ამ თთვის 21-ს შესდგა მორიგი კრება ჩვენის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა. ამიტომაც დიდ-ძალი ხალხი გვეწვია სოფლებიდგან, განსაკუთრებით შორაპნის მაზრიდგან. მარტო ერთს დღეს, სახელდობრ 17-ს ამ თთვისას, ერთბაშად წარუდგინეს ბანკის გამგეობას 520 ვექილობა; იმ დღიდგან მოკიდებული ამ თთვის 21-დე ბანკის გამგეობა შეუდგა ამ ვექილობათა შესწორებას და შემოწმებას. ამ თთვის 20-დგან ვიდრე დღევანდლამდე გამგეობა ბილეთებს ურიგებს ბანკის წევრთ—წითლებს იმათ, ვისაც საკუთარი ხმა და ან ვექილობა აქვთ, და თეთრებს—იმათ, ვინც წევრნი დამფუძნებელნი არიან, ხოლო კენჭი არა აქვთ. ხანამ კრება დაიწყებოდა თითქმის სამასამდე თეთრი ბილეთი გაიცა, წითელი-კი ექვსასამდე მეტი. თერთმეტი საათიც შესრულდა და საზოგადოება ხარაზოვის თეატრისკენ გაემართა, სადაც კრება იყო დანიშნული.

დარბაზი თეატრისა ხალხით გაიჭედა. დარბაზის კარებში პოლიციელები დგანან. ამ გზობით არავის უშვებენ დარბაზში უბილეთოდ; მანდილოსნებსაც არ გაუწია პოლიციამ ხათრი. თეატრის ქანდარა ცალიერია. 12-ს საათზე ბ-ნმა თავმჯდომარემ კრებისამ, თ. ს. გ. წერეთელმა გამოაცხადა, რომ სხდომა დაწყებულიაო. თავმჯდომარე გამგეობისა ბ-ნი კ. ნ. ჩიკვაიძე ჰკითხულობს მოკლე მოხსენებას გამგეობისას. ამის წაკითხვას შემდეგ ბაასიც ჩამოვარდა.

თავმჯდომარე კრებისა სთხოვს საზოგადოებას, შეუდგეს წარსულის წლის ანგარიშის განხილვას. უგანათლებულესი თ. ა. ი. ბაგრატიონი (მარშალი შორაპნის მაზრისა):

ჩემის აზრით, საჭიროა ანგარიშის განხილვა გადაიდოს სხვა დროისთვის, რადგანაც ამ ჟამად სხვა უფრო საჭირო საგანი გვიძევს წინ განსახილველად. ეს საგანი ზედამხედველის კომიტეტის დადგენილობა ბანკის გამგეობის თავმჯდომარის, ბ-ნ ჩიკვაიძის გადაყენების შესახებ თანამდებობიდამ. ეს საგანი ბოლოს არის დანიშნული და რადგანაც იგი სხვებზე უფრო საყურადღებოა, ამიტომ ანგარიშის განხილვას ჯერ-ჯერობით თავი დავანებოთ ამ საგანს შევუდგეთ.

თავ. დ. გ. წულუკიძე აპირობს ლაპარაკს, მაგრამ არ აცლიან. საზოგადოებაში ჩოჩქოლი და ხმაურობაა.

პავლე ბ. ნხეიძე. სრული თანახმა ვარ თავ. ბაგრატიონის აზრისა. ანგარიშის განხილვას ეხლა ვერ მოვასწრებთ: მაგ საგანს მეტი ყურადღება უნდა და ამ ორს-სამს დღეში გავარჩიოთ, ხოლო დღეს-კი ბ-ნ ჩიკვაიძის საქმე განვიხილოთო, რადგანაც ეგ საქმე სხვებზე უფრო საყურადღებოა. საყურადღებო რომ არ ყოფილიყოს, არც საგანგებო კრებას მოიწვევდა კომიტეტი წარსულის წლის ოქტომბრის 30-სათვის. წესი და რიგი საქმეთა განხილვისა რომ შევსცვალოთ, და მეხუთე და მეექვსე საგანი რომ პირველად განვიხილოთ, ამით ბანკს არა დააკლდება-რა.

(დიდი უმრავლესობა საზოგადოებისა იძახის: „მართალია, ასეა, ასე".)

კ. ბ. ღორთქიფანიძე. საქმეთა განხილვაში უსათუოდ წესი და რიგი უნდა დავიცვათ. ეს წესი და რიგი კომიტეტისაგანაც არის გამოცხადებული და კანონიერიცაა. ამისათვის გადანაცვლება საქმეთა არა გვ'ართებს. სხვა რომ არა იყოს-რა, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ბევრნი, რომლებისათვის ეგ საგანი მეტად საინტერესოა და რომლებსაც სურვილი და განზრახვა აქვთ მაგ საგნის განხილვას დაესწრნენ, დღეს არ გამოცხადებულან, რადგანაც იგი მეექვსედ არის აღნიშნული განსახილველ საქმეთა სიაში; დღეს ბევრნი გვაკლიან, ვისაც ხმა და კენჭი აქვთ, და ბევრნი იმისთანანი მოსულან, რომლებსაც უფლება არა აქვთ საქმის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ, ამიტომ წესსა და რიგს, კანონსა და ჩვეულებას ნუ დავარღვევთ.

საზოგადოება თანხმობას აცხადებს; აქა-იქ ისმის: მართალია, კარგი, ეგრე იყოს.

ბ-ნი გ. ზ. ლორთქიფანიძე კიდევ აპირებს ლაპარაკს, მაგრამ კარებში ხმაურობა ატყდა, უთანხმოება ჩამოვარდა.

ბ-ნი პავლე ჩხეიძე აპირებს ლაპარაკს, კ. ლორთქიფანიძის პასუხად, მაგრამ თავ. დ. გ. წულუკიძე იძახის:

რა ამბავია, სულ პაელე ჩხეიძე და პაელე ჩხეიძე ლაპარაკობს!

პავლე ჩხეიძე კ. ლორთქიფანიძის პასუხად: ჩვენ რამდენიმე აზრი მოვისმინეთ. ერთი მათგანი, სახელდობრ ბ-ნ ლორთქიფანიძისა შესაწყნარებელი არ არის; ვისაც უნდოდა კრებაზე დასწრება და ვისაც რაიმე ინტერესი აქვს, დღეს უნდა გამოცხადებულიყო. რა ვუყოთ, რომ წესი და რიგი საქმეთა განხილვისა გამოცხადებულია, ჩვენი საშინაო საქმეა და ამიტომ რიგის შეცვლაც შეგვიძლია.

(დიდი უმრავლესობა კრებისა ეთანხმება ბ-ნ ჩხეიძეს).

თავ. მ. გ. მიქელაძე: ბ-ნო თავმჯდომარევ, შეგვატყობინეთ, ნება გვაქვს თუ არა წესი და რიგი შევსცვალოთ და საქმეები გამოცხადებულის რიგით არ განვიხილოთ. თუ არ შეიძლება, გამოცხადებულს წესს დავემორჩილოთ.

თავ. ს. გ. წერეთელი (თავმჯდომარე კრებისა): წესი და რიგი ის არის, რომ რაც საგანია წინედ დანიშნული რა უნდა განვიხილოთ. თავდაპირველად ანგარიში უნდა გავსინჯოთ და დავამტკიცოთ და შემდეგ სხვა საქმეები. შესაძლოა მეექვსე და მეშვიდე საქმე მეოთხედ და მეხუთედ დავნიშნოთ, ხოლო პირველს საქმეებს-კი ვერას გზით ვერ გადავდებთ.

პავლე ჩხეიძე: დღეს ვერ დავამტკიცებთ ანგარიშს, ვადა დავნიშნოთ და დღეს-კი სხვა საქმეები განვიხილოთ. როგორც მოგახსენეთ, მაგით ბანკს არა დაუშავდება-რა...

დ. გ. წულუკიძე: იმის მეტს ვერას ვიტყვი, რაც ბ-ნმა თავმჯდომარემ ბრძანა; მე სრული თანახმა ვარ იმის აზრისა და ვამბობ, რომ წესისა და რიგის შეცვლა არ შეიძლება, საჭირო არ არის.

ბ-ნი კ. ნ. ჩიკვაიძე: ეგ საქმე მე შემეხება და ამიტომ საჭიროდ ვრაცხ რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ. აქ იმას ლაპარაკობენ, რომ წესი და რიგი ითხოვს საქმეების განხილვას რიგ-რიგად. მე-კი ვფიქრობ, რომ შესაძლოა ეგ წესი და რიგი შეიცვალოს, ერთი ისა, რომ, თუ ყურადღებით მოვეპყრობით საქმეს, შევნიშნავთ, რომ თვით საქმეთა სიაც არ არის წესიერად და კანონიერად შედგენილი. საჭირო არ არის რაიმე დავმალოთ. სჯობს, პირდაპირ ვილაპარაკოთ. მაგალითად, მეშვიდე საგანი, რომელიც ეხება გამგეობის წევრის არჩევანს და ზედამხედველის კომიტეტის ორს წევრს, ჩემის საქმის წინად უნდა დაენიშნათ, რადგანაც იგი მორიგს საქმეთ ეკუთვნის. ასე უნდა მოქცეულიყვნენ, თუ რომ კანონის დაცვა უნდოდათ. აქ ჩემს საქმეში ზოგიერთნი ხელმძღვანელობენ პირადობით, თორემ რატომ შესაძლო არ არის ჩემი საქმე დღესვე გაირჩეს, მე მაისში ამირჩია საზოგადო კრებამ და ყველანი უნდა თანახმანი გამხდარიყვნენ ჩემის არჩევანისა, კანონიერად თუ განვსჯით. ვექილობა რომ არ მიეცი კომიტეტს, ამით რა დაშავდა; ფული არ იყო, რომ შემეჭამა და ვექილობა ვექილობად დარჩა. ამის გამო საჭირო არ იყო შფოთისა და განხეთქილების ჩამოგდება ჩვენს შორის. განა ერთს კაცს შემეძლო რაიმე არა-კანონიერი საქმე ჩამედინა? ჩემს გარდა ორი წევრია გამგეობისა და ექვსი—კომიტეტისა და ამათ მე როგორ გავუწევდი უღელს, მარტო რას მოვახერხებდი? ჩემი საქმე უკანასკნელად რატომ უნდა გაირჩეს? ბანკის სხვა-და-სხვა წევრისათვის სხვა და-სხვა საგანია საინტერესო: ვინ ანგარიშისთვის მოსულა, ვინ ჩემის საქმისათვის და ვინ სხვა საქმისათვის. ბევრნი მარტო ჩემთვის მოსულან და ამიტომაც უნდათ ეს ერთი საქმე მოისმინონ და შინ დაბრუნდნენ. თუ ჩემი საქმე ბოლომდე გადაიდვა, ჩემს მომხრეებს შეუძლიანთ უწესოება რაიმე ჩაიდინონ, რადგანაც სხვებთან კინკლაობა ექნებათ იმის შესახებ, თუ რომელი საქმე გაირჩესო. ერთი ერთს მოინდომებს და მეორე სხვას. როგორც მოგეხსენებათ თავად-აზნაურობამ დაადგინა სთხოვოს კომიტეტს, რომ ჩემი საქმე ბანკის კრების ნებართვით გამორიცხოს განსახილველ საქმეთა სიიდგან და ეგეც მხედველობაში უნდა მივიღოთ. ვიმეორებ, პირადობას ამ საქმეში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ზოგნი საქმის გაჭიანურებას აპირობენ; ამბობენ, მართალია, ჩიკვაიძე გაიმარჯვებსო, მაგრამ საქმე გავაჭიანუროთო, ჩიკვაიძეს დიდი ხარჯი მოუვა, ამდენს მასპინძლობას ვერ გაუძლებსო, მაგრამ ეჭვი მაქვს („საზოგადოებაში ბრავოს“ იძახიან). რაც შემეხება პირადად მე, უნდა მოგახსენოთ, რომ სასჯელზე ლაპარაკი შესაძლოა მხოლოდ ამ შემთხვევაში, როცა ბოროტ-მოქმედობა რამ იყოს ჩადენილი. (საზოგადოება თანხმობას უცხადებს; იძახიან: მართალია, ძალიან კარგია, მართალია. დიდი ხმაურობაა).

თავ. გ. აბაშიძე. რაც შეეხება წესსა და რიგს საქმეების განხილვისას, უნდა ვსთქვა, რომ ეს ბ-ნ თავმჯდომარის საქმეა. რაკი ერთხელვე დადგენილია ერთი წესი და რიგი, საჭირო არ არის იმისი შეცვლა. ჩვენ ყველა საქმე რიგ-რიგად უნდა განვიხილოთ და გულ-დასმით უნდა მოვეკიდნეთ, აჩქარება ხელს არ მოგვცემს. ამას ბანკის ინტერესიც მოითხოვს.

პავლე ჩხეიძე. ბ-ნო თავმჯდომარევ, განა კანონი სამის დღის ვადას არ გვაძლევს ანგარიშის გასსახილველად? ანგარიშის განხილვა ძნელი საქმეა, მილიონებს ეხება და ამიტომ სიფრთხილე გვმართებს.

თავმჯდომარე. კანონი არაფერს ამბობს, სამს დღეში უნდა იქმნას განხილული, თუ ორს დღეში, ხოლო უპირველესად-კი ანგარიშის განხილვას უნდა შევუდგეთ.

თავ. დ. ო. ხიჯარაძე. მე მგონია, ბევრი არაფერი სალაპარაკოა აქ. ანგარიშს ბოლოში აწერია, რომ კომიტეტისაგან განხილულია და ყოველივე კანონიერად არისო. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავერწმუნოთ კომიტეტს და დავამტკიცოთ ანგარიში, თორემ გადაიდოს, არ შეიძლება (ხმაურობაა, ბრავოს იძახიან). ლაპარაკს აპირობს დ. წულუკიძე, მაგრამ არ აცლიან ხმაურობაა.

კ. ზ. ლორთქიფანიძე. შეუძლებელია წესი და რიგი შევსცვალოთ. ეხლავე რომ კომიტეტის დადგენილობა გავარჩიოთ ბ-ნ ჩიკვაიძის შესახებ, თუ ვინიცობაა საქმე ჩიკვაიძის სასარგებლოდ გადაწყდა, მაშინ კომიტეტი სამსახურიდგან უნდა გადადგეს და ამ შემთხვევაში სხვა საქმეთა განხილვას ვერ შევუდგებით, რადგანაც თავმჯდომარე არ გვეყოლება.

ხმაურობაა, ზოგი თანახმაა, ზოგი არა, სიტყვა შეაწყვეტინეს ორატორს. იძახიან: „ძირს, ძირს.“

კ. ზ. ლორთქიფანიძე. თავმჯდომარეს კრებისას (რუსულად): განუმარტეთ კრებას, რომ, თუ ვინიცობაა ჩიკვაიძეს საქმე ეხლა განვიხილეთ, შესაძლოა კომიტეტი სამსახურიდგან გადადგეს და კრება სხვა საქმეთა განხილვას ვერ შეუდგება. (საზოგადოებაში ხმაურობაა).

კ. ნ. ჩიკვაიძე. ყოვლად შეუძლებელია აქ ამაზე ვილაპარაკოთ, გადადგება თუ არა ვინმე სამსახურიდგან. კ. ლორთქიფანიძე მოგახსენებთ, რომ შესაძლოა საქმე ისე გადაწყდეს, რომ კომიტეტი იძულებული იქმნება სამსახურიდგან გადადგესო; (საზოგადოებიდგან ხმა ისმის: მეტი არაფერი დაგვაკლდეს) ჩემის აზრით სრულიადაც საჭირო არ არის ეხლავე ვიზრუნოთ, ვინ გადადგება სამსახურიდგან, საკითხი საგანი დღეს სულ სხვა არის. გვაშინებენ, სამსახურიდგან გადადგებიანო. საშიში არა არის-რა. მე თუ არ ვიქმნები ამ თანამდებობაზე, სხვას აირჩევთ, თუ კომიტეტის წევრნი წავლენ, სხვებს ვიშოვით. კაცს სასამართლოში საქმე ჰქონდეს და სასამართლომ ამისი საბუთები და აზრი არ შეიწყნაროს, განა კარგი იქნება ეს კაცი სასამართლოს განაჩენს არ დაეთანხმოს, მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე ვერ მოიგო! სწორედ ეგევე ითქმის იმაზე, რომ გვაშინებენ სამსახურიდგან გადადგებიანო. რაც შეეხება ბ-ნ გ. აბაშიძის აზრს, რომ საქმეს აუჩქარებლად, გულ-დასმით მოვეკიდოთო, უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველივე ეს კარგი ფრაზებია და ჩვენში ყოვლად შეუძლებელია. თავ. ხიჯარაძე ამბობს, დღესვე დავამტკიცოთ ანგარიშიო; მართალი რომ გითხრათ, ეხლავე რომ ანგარიშის განხილვას შევუდგეთ, არა გამოვა-რა; უმრავლესობას არა ესმის-რა ანგარიშისა, ან კომიტეტის აზრს დავეთანხმოთ და ისე დავამტკიცოთ, ანა და დრო მოგვეცეს და ისე შევუდგეთ განხილვას.

ბ-ნი ლ. ნ. ასათიანი. ბ-ნო, მაგდენი სალაპარაკო არაფერია; შესაძლოა ის საგანი, თქვენ რომ ბრძანეთ, მეოთხედ ან მეხუთედ გავარჩიოთ, ხოლო უპირველესად-კი ანგარიშსა და ხარჯთ-აღრიცხვას უნდა შევუდგეთ. წესს ნუ დავარღვევთ. ანგარიშის შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვა სულ ცოტა დროს მოითხოვს.

თავმჯდომარე: ამტკიცებთ თუ არა ანგარიშს? კრებაში იძახიან: ვამტკიცებთ. დღესვე, ვამტკიცებთ ისე, როგორც არის. (საშინელი ხმაურობაა).

ბ-ნი ლ. ასათიანი ჰკითხულობს 1891 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

ბ-ნი პავლე ჩხეიძე. ეგეც დავამტკიცოთ, რომ განვიხილეთ.

საზოგადოება სრული თანახმაა; იძახის: დავამტკიცოთ, დავამტკიცოთ, ხარჯთ-აღრიცხვაც დამტკიცებულ იქმნა.

ა. ნა—ლი

(შემდეგი იქნება)

## ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

(იხ. „ივერია“ №№ 101—104 და 107)

კრება დანიშნული იყო დილის 10 საათისათვის, მაგრამ საზოგადოებამ თორმეტის ნახევარზედ მოიყარა თავი. კრებას დაესწრო 111 წევრი დამფუძნებელი და 22 წევრი-მხესხებელი. წაკითხულ და შესწორებულ იქმნა წინა დღის ოქმი.

გ. ნ. ჩერქეზიშვილი. ორი დღე ბანკის გამგეობის თავმჯდომარის, თ. ი. გ. ჭავჭავაძის საფინანსო პოლიტიკის განხილვას მოვანდომეთ: ბევრმა ამ პოლიტიკის წინააღმდეგი სთქვა, ბევრმა მოიწონა. ბოლოს კრებამ გადასწყვიტა, საკმარისია ამ საქმის შესახებ ლაპარაკიო, საგანი საკმაოდ გამოირკვაო. ამიტომ, ჩემის აზრით, სწორედ კარგს ვიზამთ, რომ ეხლა პირდაპირ თ. ჭავჭავაძის არჩევანებზედ გადავიდეთ და მერე შევუდგეთ სხვა საქმეებს. ყველა აქ დამსწრეთაგანი ეხლა უფრო სამართლიანად და ცნობიერად იხმარებს კენჭს, რადგან უკვე გამოირკვა აე-კარგიანობა გამგეობის თავმჯდომარისა. ეხლა რომ გადავიდოთ არჩევანი, შემდეგ სხვა წევრებიც მოგვემატებიან, წევრები რომელთაც დღევანდელ ამდე აქ მომხდარის ამბისა არა იციან-რა და არცა აქვთ გამორკვეული, თუ რამდენად სასარგებლოა საფინანსო პოლიტიკა თ. ჭავჭავაძისა და რამდენად საზარალო.

უმრავლესობა. მართალია, მართალია.

გ. გ. გაბაშვილი. უსამართლოდ მიმაჩნია, რომ ეხლა ვუყაროთ კენჭი თ. ილ. ჭავჭავაძეს, რადგან ამით ხმას წავართმევთ იმ წევრებს, რომელნიც მოსასვლელები არიან. ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველს ადამიანს თავისი აზრი აქვს და იმ აზრის თანახმად ჰხმარობს კენჭს.

უმრავლესობა. უსამართლობა-კი არა, სამართლიანობა იქნება.

თავმჯდომარე კრებისა. საგანი გამოირკვა, კმარა.

შემდეგ თავმჯდომარევე გამოაცხადა, რომ არ შევცვლი იმ რიგს საგნების განხილვისას, რომელიც გამოცხადებულიაო, და ამის გამო ამაზედ ლაპარაკი შესწყდესო. თ. ივ. მაჩაბელმა წაიკითხა მოხსენება. ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 6 მაისს 1891 წ. ზედამხედველმა კომიტეტმა მოისმინა აზრი ამ კომიტეტის წევრის თ. დ. თ. ავალიშვილისა, რომ საჭიროა სრულიად მოისპოს ბანკში მოსამსახურეთა სარგებლით დაჯილდოებაო, დაეთანხმა და ამიტომ საჭიროდ სცნა ორი ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა—ერთი 49,987 მან., ვინიცობაა სარგებლით დაჯილდოება მოსპობილ იქმნას, და მეორე 40,727 მან. 30 კაპ., თუ არ დამტკიცდაო.

დ. ი. ავალიშვილი. ეს საგანი არა ერთხელ იყო აღძრული. პირველად მომხრე არავინ გამოუჩნდა, მეორედაც ასეთი ამბავი დაემართა, მესამედ გავანახევრეთ—შარშან საერთოდ 20% მაგიერ 10% გადავწყვიტეთ, გამგეობის წევრთ-კი 10% ი 5%-ად გავუხადეთ. ეხლა კვლავ განვიხილეთ ეს საგანი და იმ აზრს დავადექით, რომ სულ ერთიან მოვსპოთ ბანკის მოსამსახურის % დაჯილდოება და წესდების მე-89 შევცვალოთთ თუ მივიღებთ, თუ არა-და, მეორე ხარჯთ-აღრიცხვაც გვაქვს შედგენილი. ჩემის აზრით, დროა ამ საგანს ერთი და ერთი ბოლო მოვუღოთ და სამუდამოდ გარკვეული ჯამაგირი დავუნიშნოთ ბანკის მოსამსახურეთ. ამავე აზრისაა თვით გამგეობაც.

თ. შალიკაშვილი. რა ჯამაგირი აქვთ, ჯერ ის გაგვაგებინეთ.

დ. ი. ავალიშვილი. აქ პრინციპზეა ლაპარაკი. თუ მივიღებთ, მერე შეგვიძლიანთ დავადგინოთ, ვის რამდენი ჯამაგირი უნდა დაენიშნოს. ჩვენ თუ არ შევცვალეთ რიცხვი იმათის ჯამაგირისა,—იმ იმედით, იქნება არ იქმნას მიღებული ჩვენი პროექტიო.

თ. შალიკაშვილი. ალბად ეკონომიისათვის გინდათ გააუქმოთ % დაჯილდოება. თუ აგრეა, ჯერ ის გადავწყვიტოთ, ვის რა უნდა მივცეთ, და მერე გავაუქმოთ.

დ. ი. ავალიშვილი. %-ით დაჯილდოება, დივიდენდი შემოსავალზეა დაკიდებული, შრომას-კი, თუნდა სულაც არ იყოს შემოსავალი, მაინც დაჯილდოება უნდა.

თ. შალიკაშვილი. არ მესმის, რისთვის იქმნა კვლავ აღძრული ეს საგანი, რომელიც შარშან გადასწყვიტეს %-ის შემცირებით. წინად იმიტომ გამოიწვევდა ხოლმე ლაპარაკს, რომ ბანკის დაარსებიდგანვე დიდი %-ი იყო დანიშნული. ეხლა ახალი წესია შემოღებული და დააკადეთ, რამდენსამე წელს ეგ წესი იყოს, რომ მაგისი ავი და კარგიც გავიგოთ. სულ ერთია, ექნებათ, თუ არ ექნებათ ეგ %-ის ჯილდო, უნდა სინიდისიერად იშრომებენ, მაგრამ ჩემის აზრით-კი მოსამსახურეთ მოგებაშიაც წილი უნდა ჰქონდეთ და ისევ ისა სჯობია, ჯამაგირი შეუმციროთ და %-ი მოუმატოთ, ვიდრე სულ მოსპოთ ეს წესი მოსამსახურეთა დაჯილდოებისა.

ბედქვანიშვილი. ერთი გაგვაგებინეთ, ხელ-მეორედ იმეორებთ ძველს ამბავს, თუ თვით გამგეობა ამბობს ეხლა უარს?

კ. მაჭ-აზიზიანცი. ჩემის აზრით, ეგ დივიდენდი უეჭველად უნდა გაუქმდეს. კრების ყურადღებას იმ გარემოებას მივაქცევ, რომ თვით გამგეობა ბანკისა მოწადინებულია ასე გადაწყვეტას საქმისას. წარსულს წელს მე მაგ დივიდენდის დარჩენას ვემომხრეობდი და გამგეობაც ასეთისავე აზრისა იყო. ეხლა იციან, რომ მოგება შემცირდაო, და ახლა ის უნდათ, რომ ჯამაგირი მოვუმატოთ, რადგან სარგებელი აღარა გაჰხვდებათ რა. 3,500 მან. ხელს იღებენ და 4,000 მან. უნდათ მოიმატონ.

დ. ი. ავალიშვილი. თქვენ ისე გგონიათ, მოგება არ იქნება და ზედამხედველს კომიტეტს უნდა ჯამაგირი მოუმატოსო. მართალი არ არის. იქნება 10,000 მანეთამდეც აიწიოს ამ სარგებელმა, ვინ იცის, მერმისიც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ.

თ. გაჩნაძე. დივიდენდი დიდად საჭიროა. სულ იმას გავიძახით, ბანკის მოსამსახურენი უზრუნველ-ყოფილნი არიან ჯამაგირითაო. კმარა ეს ლაპარაკი, შეურაცხებას რაზედ ვაყენებთ. ან რა აღსაძრავი იყო ეგ საგანი, შარშან-კი განვიხილეთ და ერთი-ორად შევუმოკლეთ. ამასთანავე ისიც ხომ დავადგინეთ, რომ ნულარას მივცემთ მოგებიდგან, თუ სარგებელი იმდენი მოუვიდათ, რომ მაგათ ჯამაგირს შეეტოლაო.

ს. ანდრონიკაშვილი. ძველებურადვე დარჩეს, ეგ საგანი.

ა. ზ. ჩოლოყაშვილი. რა მიზეზით აღიძრა კვლავ ეგ საგანი? ჩემის აზრით, აწინდელს საზოგადო კრებას გაუძნელდება კიდეც დივიდენდის მოსპობა, რადგან შარშან ის აზრი დაადგინეს, რომ დივიდენდი ისევე დარჩესო.

ა. ი. გობიაშვილი. მე დივიდენდის წინააღმდეგი ვარ. ჩვენ, ზედამხედველ კომიტეტის ზოგიერთმა წევრთ, ის აზრი გამოვსთქვით, რომ უდროო დროს არის აღძრული ეგ საგანიო.

გ. გ. თარხნიშვილი. ვარწმუნებ ბ-ნს შაჰ-აზიზიანცს, რომ გამგეობა მის მიერ წარმოთქმულის მოსაზრებით არა ჰხელმძღვანელობს, ჯერ, სხვაც რომ არა იყოს-რა, მარტო იმიტომ-რომ მერმისს მოგების შემცირება სულ არ არის მოსალოდნელი. გამგეობამ საზიაროდ იმიტომ ჩასთვალა ეს დივიდენდი, რომ, ჯერ ერთი, თავიდგან აიცილოს ათასი საყვედური და, მეორედ, გამგეობას ბანკისას არ უნდა შეეძლოს, ძალიან გულითაც რომ უნდოდეს, ანგარიშში უფრო მეტის მოგების ჩვენება, ვიდრე ნამდვილად არის. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეხლა ჩვენ ეგ შეგვიძლიან და მოგებასაც მეტს ვნიშნავთ, ვიდრე გვაქვს, სწორედ ისე ვიქცეოდით, როგორც წესდება გვაძლევს ნებას. კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ანგარიშებში ნაჩვენები ვადა-გადაცილებული შემოსატანი, უკან-დასაბრუნებელი ხარჯი და სხ. გამგეობა არდგენს ანგარიშს და უფლება ეძლევა, უნდა გამოსწეროს მოგებიდგან ამ ფულის, არ უნდა და არ გამოსწეროს. რაკ გამგეობის ნებაზეა მიგდებული, შეუძლიან [illegible] ამ ფულებით და არ გამოსწეროს ხოლმე, მოგება ბევრი აჩვენოს და თითონაც მეტი სარგებლობა ჰნახოს. ჩვენც ადამიანები ვართ და ჩვენს სარგებლობას ვერ უარ-ვყოფთ. ესეც რომ არ იყოს, ისე უნდა მოხერხდეს, რომ, რომ, როცა გამგეობაში სულ სხვა წევრები იქნებიან ამორჩეულნი, შეძლება არა ჰქონდეთ ბოროტად იხმარონ ეს უფლება.

მ. ვ. მაჩაბელი. მე იმის მომხრე ვარ, რომ ყოველი მომეტებული სარგებლით, მოგებისდა კვლავად იქმნას [illegible] დასაჭიურებული. დარწმუნებული ვარ, რომ ის რომ ანგარიშში გამოცხადებული რიცხვები ყველა მართალია, და არ ვეთანხმები თ. გ. თარხნიშვილს, ვითომ გამგეობა თავის ჯიბის სასარგებლოდ აზვიადებდეს ციფრებს. სინიდისიერი ადამიანი ყოველთვის სინიდისიერად დარჩება. პირ-იქით, ჩვენი გამგეობა ყოველ წლივ თავისის ნებით აკლებს მოგებას 30,000 მანათს და ქაღალდის გადაკეთებით დადებულს ვალს იხდის, თავის ჯიბეს აკლებს ჩვენის სარგებლობისათვის. ამისდა მიუხედავად, მაინც მეც ზედამხედველ კომიტეტის აზრს ვემხრობი და იმ აზრისა ვარ, რომ უნდა მოვსპოთ 15 % დაჯილდოება ბანკის მოსამსახურეთა, რათა ბოლო მოეღოს ამ დაუსრულებელ საქმის გამო აურზაურსა და მითქმა-მოთქმას.

თავმჯდომარის თხოვნით ფეხზედ ადგომით გადასწყვიტეს, რომ დივიდენდი ძველებურადვე დარჩესო.

(შემდეგი იქნება)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ნაფარეული: 18 მაისი. საყურადღებოდ მიმაჩნია თქვენის გაზეთის მკითხველებისათვის, ვუამბო, თუ როგორ დავთესეთ ამერიკის ვაზის თესლი (წიპწა) ჩვენის სოფლის საუფლისწულო მამულში და ამიტომ გწერთ შემდეგს: 1891 წ., თავ. ვიაზემსკის განკარგულებით, დეპარტამენტიდგან გამოგზავნეს სოფ. წინანდალში ამერიკის ვაზის თესლი დასათესად კახეთის საუფლისწულო ერთ-ერთს მამულში. წინანდლის საუფლისწულო მამულის უფროსმა ღვინოების მკეთებელმა ბ-ნ დიკენსონმა ეს საქმე მე მომანდო. ათს აპრილს შევუდგი მიწის მომზადებას: სადაც ამერიკის ვაზის თესლის დათესვას ვაპირებდი, ის ადგილი გადავაბარვინე ნახევარს არშინზედ, გადაბარული ადგილი ავაკულტივირე, გავასუფთავე და გავაკეთე კვლები ხუთის ჩარექის სიგანეზედ; შემდეგ იმავე კვლებში ერთის ჩარექის სიგანეზედ, ერთი მეორესთან, გავაკეთეთ პატარ-პატარა კვლები-ნახევარ გოჯის სიღრმეზედ. თოთხმეტს აპრილს დავსთესე ამერიკის ვაზის თესლი. დათესამდის ვაზის თესლი წყალში მქონდა შენახული, ასე რომ სხვა-და-სხვა ჯიშის თესლი, ზოგი ოთხი დღე იყო წყალში, ზოგი სამი და ზოგიც ერთი დღე და ღამე, რა თქმა უნდა, რომელი თესლიც დიდხანს იყო წყალში, იმან ყველაზედ ადრე იხარა. თესლი დავთესე ზომიერად, არც ხშირად და არც თხლად, ასე რომ თითო თესლს ზომიერი ადგილი დავუტოვე. დათესას შემდეგ არხები გადავასწორეთ ფოცხით და კარგად მოვრწყეთ ხელის სარწყავებით. რადგანაც ხუთ [illegible] სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის თესლი იყო, ამიტომ თესლი ამოვიდა სხვა-და-სხვა დროს, ზოგი მეოცდა-ხუთე დღეს, ზოგი მეოც-და-ათე დღეს, ზოგიც ჯერ ისევ ამოსასვლელია.

თუ დათესილებს კარგი ამინდი დაუდგა ე. ი. მოწმენდილი დღეები, მაშინ კვლები უეჭველად კვირაში ერთხელ უნდა მოირწყას. რადგანაც წლეულს სულ განუწყვეტლივ წვიმს, ამიტომ მორწყვასაც არ საჭიროებს. როცა ბალახი მოერია კვლებს, გავამარგვლინე, მაგრამ გამარგვლის უმალვე, კვლებს ზემოდგან დავაფარეთ ხის ტოტები ფოთლიანად, რომ მზეს არ ევნო პატარა მცენარეებისათვის. მაგრამ არც ისე უნდა დაფაროთ, რომ ნაზი მცენარეები დაჩრდილოს. ამერიკის ვაზის თესლის გარდა, ვიაზემსკის განკარგულებით დავთესე ხუთ ნაირი სხვა-და-სხვა ჯიშის ბამბა და ერთ ნაირი ჯიშის ბრინჯი, რომელიც მორწყვას ისე არა საჭიროებს, როგორც ჩვენებური ბრინჯი. რაც შეეხება მომავალს საქმეს როგორც ამერიკის ვაზის მოშენებისას, ისე ბამბისა და ბრინჯის დათესვისას, ვეცდები თქვენის გაზეთ ივერიის მკითხველებს ვაცნობო ყველაფერი.

ნაფარეულის საუფლისწულო განახის ზედამხედველი არჩილ დარჯანაშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ 94 ნომერში დაბეჭდილი იყო, კნოლევიდგან მოწერილი ამბავი, რომელიც მე შემეხება და რადგან სისწორით არ არის გარდმოცემული, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, ჭეშმარიტება აღვადგინო. „ივერიაში“ არის მოხსენებული, რომ ვითომ შემდგომ ერთის წლის უსასყიდლოდ სამსახურისა თავად ფალავანდიანთ კანტორაში მართველად მეთხოვნოს ჯამაგირი ოთხმოცი თუმანი, არამც თუ არ მითხოვნია, კიდევაც განვუცხადე ფალავანდიანთ, ყრილობაში, ოღონდ ნუ მომცემთ ამ საქმეს, მე განმანთავისუფლეთ და ჩემის მხრით კანტორის სასარგებლოდ შემოვიტან ათს თუმანს ფულს მეთქი. ყრილობამ არ შეიწყნარა ჩემი თხოვნა, არ განმათავისუფლა და ამასთანავე ჯამაგირი-კი არ დამინიშნა, როგორც ივერიაშია მოხსენებული, არამედ ოთხმოცი თუმანი დანიშნა იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც თითონ კანტორის საქმეების წარმოებისათვის მოსალოდნელი იყო.

შეცდომით არის აგრეთვე გარდმოცემული, რომ ვითომ 16 თებერვლის ყრილობაში ჩემგან ყველანი არ იყვნენ მოწვეულნი. კანტორა არის დაარსებული ოც-და-სამის მონაწილესაგან. აქედგან უნდა გამოირიცხოს სამი კაცი, ერთი თითონ მე, რადგან მე მირჩევდნენ, ერთი გარდაცვალებული და ბ. ბექან ფალავანდოვი, რომელსაც ხმა არა აქვს ყრილობაში და მაშასადამე ოცსა აქვს ხმა. ჩემის მოწვევით გამოცხადნენ თხუთმეტნი, ამათში თოთხმეტმა ამომირჩია, სამმა უარი განაცხადა.

24 თებერვლის ყრილობაში შეიყარნენ იმისთანა მონაწილეები, რომელნიც კანტორის დაარსებაში [illegible] მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ მაინცა და მაინც კიდევ ამომირჩიეს 16 პირმა მე და 12-მა ბ-ნი ივანე ფალავანდოვი.

შესახებ მედიატორებისა, რომელთაც ასახელებენ იმავე წერილში, უნდა მოგახსენოთ, რომ მე სრულიად არავინ არ ამომირჩევია, მედიატორები მიიწვიეს ჩემმა მოწინააღმდეგეებმა და, რასაკვირველია, იმათავე სასიამოვნოდ გადასწყდა საქმე.

არ მესმის აქ მე რა შუაში ვარ, ან ფალავანდიანი რად უნდა დამორჩილებულიყვნენ მედიატორებს.

აქედგან აშკარადა სჩანს, რომ ის წერილი უავგაროდ არ არის მოწერილი. მაშინაც განვუცხადე, ეხლაც ვაცხადებ, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს, ვიყო ფალავანდიანთ კანტორის მმართველად.

ზაქარია ნიკოლოზის-ძე ფალავანდიშვილი

## წვრილი ამბები

ამერიკული სიყვარული. ამ დღეებში ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულს შტატებში ერთი მეტის მეტად ახირებული და უცნაური დუელი მოხდა. დუელი ექვს ახალგაზდა კაცთ შორის გაიმართა, რომელთაც ერთი ცუგრუმელა გოგო თურმე შეუყვარდათ. ამ ექვს ახალგაზდაში ერთი წყვილი მუშტით იბრძოდა, მეორე წყვილი სამართებლით—და მესამე-კი რევოლვერით. ექვსში რასაკვირველია, სამი დამარცხდა და სამს გამარჯვება დარჩა, მაგრამ გაი ამისთანა გამარჯვებას! ახლა ამათ უნდა გამართონ ერთმანეთში დუელი და, ვინ იცის, ვის გაუღიმებს ბედი და გამარჯვებული ვინ გამოვა.

კიდევ ამერიკელთა ახირებულება. ორს ამერიკელს ახალგაზდას განუზრახავს, ქვევითად შემოუარონ დედამიწას გარშემო. ისინი უკვე წამოსულან ნიუ-იორკიდგან ხომალდით, მთელი ირლანდია და ინგლისი ქვევითად გაუვლიათ და საფრანგეთში გამგზავრებულან. ვიდრე ამ მგზავრობას შეუდგებოდნენ, თავისი გაზეთი დაუარსებიათ, რომელსაც ეწოდება „ქვევითად მოგზაურობა დედა-მიწის გარშემო!“ ამ გაზეთში ეს თამამი ახალგაზდები ყოველსავე იმის ანგარიშს სწერენ, რასაც გზაში საყურადღებოს ნახავენ და გაიგონებენ.

სერბიის დედოფალი ნატალია, როგორც ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, დაითხოვეს თავის ქვეყნიდამ, და, რასაკვირველია, ამ ამბავმა მეტის-მეტად აღელვა ამ შფოთთა დედოფალი. როცა რკინის გზის სადგურზე მიიყვანეს, იქ მგოდ აფიცერთ რამდენიმე უკმეხი სიტყვა ესროლა და დასასრულ ისიც უთხრა, რომ სუსტს არსებასთან ანგარიშის გაწევა უფრო ადვილია, ვიდრე ბრძოლა [illegible]. ამ სიტყვების უკადრისობა ჩქარა გაიგო დედოფალმა, მაგრამ რაღა დროს იყო. მაინც რამდენისამე საათის შემდეგ გენერალს ლებახს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც შემდეგი ეწერა: „ბატონო გენერალო! გთხოვთ თქვენ, როგორც დიდის ხნის დამსახურებულს კაცს, რომ აფიცერთ ჩემ მაგიერად უთხრათ შემდეგი: გუშინ რკინის გზის სადგურზე რამდენსამე აფიცერს მწარე სიტყვა უთხარი, რაიცა იმას მიეწერება, რომ მაშინ ჩემი სულიერი მდგომარეობა სრულიად შერყეული და აფორიაქებული იყო. დიდად მეწყინება, თუ ის საყვედურით სავსე სიტყვები აფიცრებმა თავის თავზე მიიღეს და არ მიხვდნენ თუ ვისდამიც იყო მიმართული ის სიტყვები. მეწყინება აგრეთვე თუ ვერა გაიგეს რა რიგად აშფოთებული და სულიერს მყუდროებას მოკლებული ვიყავი იმ დროს. მე ვიცი და ძალიან კარგადაც მესმის, რაც არის ჯარის კაცად ყოფნა. ჯარის კაცმა თავის ხელ-ზევითის ბრძანება უსიტყვოდ უნდა შეასრულოს. სირცხვილი იმათ, ვინც ისინი მაგგვარ არა ღირსეულს მდგომარეობაში ჩააგდო“.

## დეპეშა

20 მაისი.

პეტერბურგი. გუშინ დილის 8 საათზე ხელმწიფე იმპერატორი მიბრძანდა გატჩინაში მოსკოვიდამ.

ოფიციალურის დეპეშით იუწყებიან ლოზოვაიდამ, გუშინ ხელმწიფა იმპერატრიცა მიბრძანდა „მაცხოვრის სავანეს“, ბორკის ახლო, სადაც ხარკოვის გუბერნატორი, თავად-აზნაურთა გუბერნიისა და მაზრის წინამძღოლი და მრავალი ხალხი მიეგება. მისი უმაღლესობა მცირე პარაკლისის შემდეგ „სავანეს“ ტაძარში, წაბრძანდა ტაძრის საძირკვლის საკურთხეველს ადგილს, რომელიც იმ ადგილს შენდება, სადაც საიმპერატორო მატარებელი დაიმსხვრა, და მას უკან გაემართა სევასტოპოლს. დიდძალი ხალხი იყო შეკრებილი და „ურას“ იძახდა დიდს ხანს.

20 მაისს კრეისერ „Адмиралъ Корниловъ“-ით დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე მიბრძანდა სევასტოპოლს.

გაუქმებულ იქმნა შეღავათიანი პროგრამა, რომლის ძალითაც თავის ნებით შემსვლელნი არტილერიაში მოიპოვებდნენ ხოლმე უფლებას პოდპორუჩიკობის მიღებისას. უკანასკნელად ამ პროგრამით ეგზამენები ამ ზაფხულს იქნება და შემდეგ შემოიღებენ სამხედრო სასწავლებელთა პროგრამებს.

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებით, გადაიდო 5000 მანათი მოსკოვის ღარიბთათვის დასარიგებლად.

კონსტანტინოპოლი. პორტამ და გერმანიის საელჩომ მოილაპარაკეს და გარდასწყვიტეს, რომ გამოსასყიდი ფასი, რომელსაც ჩერქესიოს მახლობლად მატარებლის დამჭერი ავაზაკები ითხოვენ, მიეცეს ხუთის მგზავრის გამოსასყიდადაო. პორტამ განკარგულება მოახდინა, რომ დაუყოვნებლივ მიეცეთ ავაზაკებს ის 200,000 ფრანკი, რომელსაც გამოსასყიდად ითხოვენ ავაზაკები. მებანკე იზრაელი დესპანთა დოაგომანის ეკგარდტისა და მოხელეებითურთ უკვე გაემგზავრა ავაზაკების მიერ დანიშნულ ადგილისაკენ, რომ გამოსასყიდი ფული ჩააბაროს და დაჭერილი ხალხი განათავისუფლოს.

პარიჟი. მომავალს კვირაში მთავრობა პალატაში პროექტს წარადგენს, რომლის ძალითაც ფრანგს მუშებს 30 წლის შრომას შემდეგ ყოველ წლივ პენსია უნდა დაენიშნოს 300—600 ფრანკამდე. საპენსიო თანხა უნდა შეადგინონ საქმის პატრონთ, მუშათ და ხაზინამ. თუ საქმის პატრონმა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი ამუშავა, მაშინ თითო კაცის თავზე დღეში 10 სანტიმი უნდა გადიხადოს ზემოხსენებულის ფონდისათვის. გამოანგარიშებულია, რომ ხაზინამ ამ საქმისათვის წელიწადში ასი მილიონი ფრანკი უნდა დახარჯოსო.

პეტერბურგის ბირჟა 14 მაისს

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გარიგება |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . . | 6 74 | 6 76 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 134¹/₂ | 135¹/₂ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 04 | 150 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 244 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 223 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 213 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 101 62 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | „ — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შო-

რის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით. საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამის შორის გზით.

პარასკეობით. დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით. დილით სტამბოლიდამ ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს,

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით რაკი გემოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო „დასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ვეოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

◆◆

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანსკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ისტორიული დრამა 4 მოქმედებად თხზ. თავ. ალექსანდრე ჯამბაკურიან ორბელიანისა დაწერილი 1846 წ. . . . . | „ | 40 |
| ქართული პიესები თხზ. ალ. თუთაევისა. . . . . | „ | 30 |
| ძმური სიტყვა მეორე გამოცემა დ. მაჩხანელისა . | „ | 25 |
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა. . . . | „ | 50 |
| იძიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| წვავსი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძენი [illegible] . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკული და ლოღიკური ანალიზებისა . . . ნა . . | „ | 40 |


## ტფილისის საქალაქო გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 4 ივნისს ამა 1891 წლისას დღის 12 საათზედ 1,985 ქუჩის ფარნის ნავთით განათების იჯარით გაცემა მოხდება, 4 ივნისიდამ მოკიდებული ორის წლის ვადით. პირობათა შეტყობა ამ საქმის შესახებ შეიძლება გამგეობის კანცელარიაში, უქმესა და დღესასწაულებს გარდა, ყოველ დღე.

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ურბენ“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენმა“ 1890 წელს საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაღდად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს ვალიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლიაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნიმე“ გვერდით.

დაბარება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—18)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედაენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მერვე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო-წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газе[ты] „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია ღია იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ[ის საა]თიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## მუშა-კაცნი და მუშა-ქალნი ახალგაზდანი
## (14-დგან 18 წლამდე)
## და აგრეთვე მთელი სახლობანი

[საჭიროა თამბაქოს ...]

წუმწუმის ახალს ფაბრიკაში ვერაზე იქით

ფაბრიკასთანვე არის იაფის ფასის სადგომები. (5—3)

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, [გ]ამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფ[ას]ი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად.

## „დასავლეთი“

ახალი რესტორანი, ვერაზე, შტერნფელდის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლული.

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიქგაური

(40—27)


Доз. Цен. Тифлисъ, 22-го Мая 1891 г. Типографія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Меликов. ул. домъ Мдивани.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.